

**ყველიერის კვირასთან დაკავშირებული
სამეურნეო ტრადიციისა და ლექსიკონისათვის
დასავლეთ საქართველოში
FOR AGRICULTURAL TRADITION AND
VOCABULARY RELATED TO CHEESE WEEK
(BUTTER WEEK) IN WESTERN GEORGIA**

რამაზ ხაჭაპურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

ლუიზა ხაჭაპურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Ramaz Khachapuridze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

Luiza Khachapuridze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

Cattle- and poultry-related rituals are one of the oldest original parts of folk religious practices.

The materials recorded by us during the years of expeditions to western Georgia revealed a rather interesting fact: in every region (Imereti, Lechkhumi, Racha, Samegrelo, and Svaneti), at the beginning or upon the completion of the cheese week (except for St. Theodore's Day), people performed a kind of ritual aimed at protecting domestic animals and poultry. The very ritual had to do with the fauna present in a particular regional environment. At the beginning or at the end of the cheese week, every family member puts one bite inside an egg shell, recites an incantation and takes it away from the house or throws it in the water.

In Imereti, the ritual is called “**Buzis ulupa**“ (a portion of a fly), and the **buzura** / **buzara** as well. Here, the fly refers to an insect in general. A similar ritual named “**sindiopalas çili**“ (a portion, a share of a weasel) is found in some villages of Imereti.

According to the materials recorded in Samegrelo, particularly, in Tsalenjikha, a similar action is called the “**Qvavis sajobinaro**“ (“**Gorjgin Qvaria**” = a share, a portion of a crow), while in Chkhorotsku it is referred to as “**Qvavis çili**“, (“**Qvarias Tia**”).

As follows from the materials recorded in Lechkhumi, the same ritual is called “**Meliaș Sarčo**” (nutriment of fox).

In Racha on Bosloba day (a moving folk day associated with the cult Bosle - the god of fertility and multiplication of the cattle), the whole family fasted before supper to protect the cattle from being hunted. In the same sense, “**mglis ukme**“ wolf’s rest day” was introduced in Tusheti at the beginning of the Passion Week.

A prayer that is identical to the above-mentioned spells is attested in the ecclesiastical book “The Blessings”.

We think the establishment of such rich and diverse traditions of these rituals in Georgia was facilitated by the addressed regional fauna and ecological conditions.

საკვანძო სიტყვები: ქართული ეთნოგრაფია, ეთნოგრაფიული ლექსიკა, სამეურნეო რიტუალები.

Key words: Georgian ethnography, ethnographic vocabulary, agricultural rituals.

სამეურნეო საქმიანობაში ხელის მომართვა წარმოადგენდა ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობის, ქვეყნად ხვავისა და ბარაქის მთავარ წყაროს. ხალხი სხვადასხვა საშუალებებს იყენებდა პირუტყვისა და ფრინველის ჯანმრთელობის დაცვისათვის. ბევრი ოჯახის კეთილდღეობა „მარჩენალ“ საქონელზე იყო დამოკიდებული.

მესაქონლეობა-მეფრინველეობასთან დაკავშირებული რიტუა-ლები ხალხური რელიგიური პრაქტიკის ერთ-ერთი უძველესი ორიგინალური ნაწილია. აღნიშნული საკითხი ზედმიწევნით კარგად არის შესწავლილი ქართულ ეთნოგრაფიაში.

როგორც მეცნიერი ი. სურგულაძე წერდა: „მეურნეობის ფორმები სოციალური და კულტურული განვითარების ნებისმიერ დონეზე განაპირობებდნენ რწმენა-წარმოდგენათა ისეთი სპეციფიკური ფორმების დამკვიდრებას, სადაც ოპტიმალურად იქნებოდა ასახული და ახსნილი საზოგადოებაზე როგორც გარე ბუნების ზემოქმედების მიზეზები და ამ ზემოქმედების კონკრეტული შედეგები“ (სურგულაძე 2003).

წლების განმავლობაში დასავლეთ საქართველოში ექსპედიციების პერიოდში ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალების მიხედვით ერთი მეტად საინტერესო ფაქტი გამოვლინდა; გარდა თედორობისა, როგორც სახალხო, აგრარული დღესასწაულისა, ყველა კუთხე (იმერეთი, ლეჩხუმი, რაჭა, სამეგრელო, სვანეთი) ყველიერის დასაწყისში, ზოგან ყველიერის აღებისას ატარებდა ერთგვარ რიტუალს, რომელიც შინაური ცხოველისა და ფრინველის დაცვისათვის იყო განსაზღვრული. ეს არ ეხებოდა ბოროტ ძალებს, რომლებიც ადამიანთა ძველი რწმენის თანახმად გავლენას ახდენდა მის ყოფით და სულიერ ცხოვრებაზე, ეს რიტუალი მიმართული იყო იმ ფაუნის მიმართ, რომლის გარემოცვაშიც ცხოვრობს ესა თუ ის კუთხე.

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს ტყეები მდიდარია ცხოველებითა და ფრინველებით. დღესდღეობით ფაუნის ყველაზე

გავრცელებული წარმომადგენლებია: **კურდღელი, ციყვი, მგელი, ტურა, მელა, დათვი, ფოცხვერი, აფთარი, კვერნა, დედოფალა (Mustelaniwalis)...** მწერები: **კოლო, ბუზი, ტარაკანა, ჭიანჭველა, ხოჭო, მუხლუხო, თივაჭამია, მორიელი...**

ამათგან სოფლის მესაქონლეობა-მეფრინველეობას განსაკუთრებით ზიანს აყენებს: მგელი, მელა, დედოფალა, დათვი, მწერებიდან ბუზი. არ ვსაუბრობთ დღევანდელიობის ახალ ჭირზე – ფაროსანაზე, რომელიც თესლოვანი და კურკოვანი ხეხილის სხვადასხვა სახეობასა და ბოსტნულ კულტურებს აზიანებს.

იმერეთში ყველიერის აღების დღეს, დილით კვერცხს წვერს წაატეხვენ, იქიდან შიგთავსს გადმოღვრიან და სანამ საჭმელად დასხდებიან, ოჯახის ყველა წევრი თითო ლუკმას (აუცილებლად კვერცხისა და ყველის შემცველობით) შიგ ჩადებს. შემდეგ ოჯახის დიასახლისი შეულოცავს და ეზოს გადაღმა ან წყალში ისვრის:

„სახელითა მამისა და ძისა და წმინდითა სულითა! მომირთმევია ჩემი ოჯახისაგან ულუფა თქვენთვის: ბუზო, კალია, მატლო, ლოკოკინა, ყვავო, ქორო, ძერა, სინდიოფალა, თაგვო, და ყველა რომელიც კაცის და საქონლის შემაწუხებელი ხართ, თქვენი სვით და თქვენი ჭამეთ, ჩემსას ჯვარი დამიწერთ! მოგართვით თქვენი და ჩვენ ნულა შეგვაწუხებთ! ღმერთო აკურთხე ლოცვა ჩემი, ბრძანებაა შენი, ამინ!“ (მთქმელი: ლოლა მარდალეიშვილი, ქუთაისი, 1998).

მიუხედავად იმისა, რომ აქ თითქმის ყველა აბეზარი მწერის, ცხოველისა თუ ფრინველის სახელია ჩამოთვლილი, რიტუალი იმერეთში მაინც **„ბუზის ულუფად“** მოიხსენება. მაგრამ ეს არ ნიშნავს მხოლოდ ბუზს, მასში მოიაზრება მწერი, რომელიც საქონელსა და ქათამს უჩნდება, ასეთების აღსანიშნავად იმერეთში გვხვდება ტერმინი **ბუზურა/ბუზარა**, თუ ასეთი მწერი ფრინველს შეუჩნდება, ვერ მოიკრუხებს, საქონელს კი შეიძლება ნაყოფი დაუზიანოს.

აღნიშული რიტუალის პარალელურად იმერეთის რიგ სოფლებში გვხვდება მსგავსი რიტუალი **„სინდიოფალას წილის“** სახელწოდებით, მაგალითად, სოფელ მათხოჯის მკვიდრი მარიამ ბარაბაძე გვიყვება: „გაზაფხულზე, ყველიერის დაწყების დღეს, სინდიოფალას რომ წიწილები არ მოეტაცებინა, ბებია უბრად დაასხამდა თასზე რძეს, მოიტანდა საქათმესთან და იტყოდა: „სი, სი, სინდიოფალა ქალბატონო, ირმის რძე მოგართვით!“ მერე წავიდოდა ეზოს გადაღმა, ტყისკენ, იმეორებდა ამ სიტყვებს, რძეს დატოვებდა ტყეში და დაბრუნდებოდა, ამას **სინდიოფალას წილი** ჰქვია“.

მსგავს ქმედებას სამეგრელოში, კერძოდ, წალენჯიხისაში ჩაწერილი მასალების მიხედვით **ყვავის საჯობინარო** (გორჯგინ ყვარია), ჩხოროწყუში კი ყვავის წილი (კვარიაშ თია) ჰქვია.

აღნიშნული რიტუალი დღესაც სრულდება სამეგრელოში. „ყველიერი მარხვის (დოპიჩუა) დაწყებისას კვერცხის ნაჭუქს აავსებენ ღომით და

ყველით, სახურავზე ააგდებენ ან გადააგდებენ, თან იტყვიან „ყვავის წილი“. ამის შემდეგ ყვავი წიწილას არ წაიღებსო“ (ქარჩავა http://saunje.ge/index.php?cv=1&id=1597&option=com_content).

ჩხოროწყუში კი ყველიერის პირველ დღეს, დილას ყვავმა (ქორმა/ძერამ...) არ უნდა გაჯობოს (ანუ მომავალში ქორმა წიწილები რომ არ წაგართვას), ამიტომ ცარიელ კვერცხის ნაჭუჭში ოჯახის ყველა წევრმა უნდა ჩადოს თითო ლუკმა, ღომი და ყველი, დიასახლისმა გარეთ უნდა გადააგდოს და ყვავს უთხრას:

გორჯგინ ყვარია,

თია სკან, ყვარია,

ღუმუ დო ყვალთა,

ჩქიმ ჭუა დო ფათარაკი

სქან დუს (ჯემალ სოსელია, ჩხოროწყუ, სოფ. სარაქონი, 2014).

“გაჯობე ყვავო,

შენი წილი, ყვავო,

ღომი და ყველიო,

ჩემი ტკივილი და ფათერაკი

შენს თავს (გადახდომოდეს)”.

გურია-აჭარაში ყვავის დანახვისას თავზე ხელს დაიფარებენ და ამბობენ: „შენი პირი ყარს, შენი ენა ყარს, შენი სვი და შენი ჭამე“ (გუგული ვარშანიძე, აჭარა, სოფ. ხალა, 2018), სვანეთში კი იტყვიან: „მიჯობნია, მიჯობნია“ (მანანა ბაკურაძე, ლენტეხი, სოფ. ჟახუნდერი, 2013).

აღსანიშნავია, რომ ტერმინი **“საჯობინარო”** საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება და ნიშნავს „დილის პირველ ლუკმას“. ჩვენი რესპონდენტის თქმით: “სახლიდან უჭმელი არ უნდა გადახვიდე, ერთი ლუკმა საჯობინარო მაინც უნდა შეჭამო, რამე მარილიანი ლუკმა, თუ არა გლახა სულის კაცი ან ცხოველი ან ფრინველი რო შეგხვდეს, ცუდად გახდები. მერცხალია განსაკუთრებით საშიში, ნაჭამი უნდა გქონდეს, სანამ პირველად შეხედავ” (ლოლა მარდალეიშვილი, ქუთაისი, 1998).

ლეჩხუმში ექსპედიციის პერიოდში ჩავიწერეთ: „გაზაფხულზე ყველიერის ბოლო დღეს ოჯახის წევრები თითო ლუკმას ჩადებენ კვერცხში და შეულოცავენ: მელაკუდა მელია, შენი სვი და შენი ჭამე, ჩემს ქათამს თავი დაანებე, ეს ულუფაც შენთვის მოგვირთმევია“. შემდეგ გადააგდებენ ტყის მხარეს ან გამდინარე წყალში. სწორედ ასეთ შელოცვილ კვერცხს ეწოდება **მელისარჩი / მელიას სარჩო**“.

ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ რაჭაში **ბოსლობა დღეს** ვახშამდე მთელი ოჯახი მარხულობდა, რათა საქონელი ნადირისაგან დაეცვათ. მათ სწამდათ, რომ თუ ასე მოიქცეოდნენ, მათ პირუტყვს საფრთხე არ დაემუქრებოდა. ეს დღესასწაული სწორედ მსხვილფეხა რქოსანი საქონლის გამრავლებასა და კეთილდღეობას ემსახურებოდა” (ბრეგაძე 1959: 85-97; რუხაძე 1976: 231).

საყურადღებოა, რომ თუმცა ვნების კვირის დასაწყისში შემოღებული იყო **„მგლის უქმე“**. ხალხის წარმოდგენით, ის ღმერთის მიერ

იყო დაწესებული და ვინც ამ დღესასწაულში მიიღებდა მონაწილეობას და იუქმებდა, მის ცხვარს მგელი ვერ გაეკარებოდა (ღამბაშიძე 2011: 185-186).

ზემოთ მოყვანილი მასალები ცხადყოფს, თუ როგორ ცდილობდა მეურნე „მცირე ხარკი“ გადაეხადა მწერის, ცხოველისა თუ ფრინველისთვის, რომ „არ დაეზიანებინა მისი სარჩო“.

საეკლესიო წიგნში „კურთხევანი“ დასტურდება ლოცვა „**წესი რომელი აღესრულების ყანისა, ვენახისა და ბოსტანსა ზედა**“, რომელშიც ყველა მწერი, ცხოველი, ფრინველი თუ ქვემდრომია მოხსენიებული, რომელიც ადამიანის ნაშრომს აფუჭებს. საყურადღებოა, რომ ეს ლოცვა ზემოთ მოყვანილი - **ბუზის ულუფის / სინდიოფალას წილი / ყავის წილის / მელიის სარჩოს** შელოცვების იდენტურია.

საეკლესიო ლოცვა:

„უფალო ღმერთო ჩვენო, რომელმან შექმენ ცანი და ქუეყანა... აწ უკუე აკურთხე და დაიცვენ მონა ღვთისა (სახელი), სახლი, ვენახი, ყანა, ბოსტანი და საქონელი მისი...“

მოავლინენ ანგელოსი წარწყმედად ყოვლისავე მბრძოლისა და ყოვლისავე ბოროტის მყოფისა, მხეცისა, ფრინველისა და ქვეწარმავალისა მავნებლისა, ხოლო მხეცთა მათ სახელები ვჰსთქუა: მუძუნძელი, მატლი-მატლკამპი, სკანთრი, ბუზი, ვრყობო მკალი, ეპიმალი, კლილარი ფერხრგძელი, ჯინჭუელი, ღორდათვი, რიგიტი, ფვილიხი, ფსალტი, კაკსოკოპო, ძირისმჭამელა, ლოფორთქინა, იპა, პიპო, კალკრო, პარსკურო, მყუარი, დათვი და სხუა ყოველივე რაოდენიცა არს, გინა ქუეწარმავალი, გინა მფრინველი განმრყუნელი და მავნებელი, დამაჭნობელი ნაყოფისა ყურძნისა და სხუათა მათ მცენარეთა და მეცა თავადმან ფიცით შეგვარ იგინი, რათა არღარა შეუძლონ მოსულად ადგილთა ამათ...“

წარვედ თქუენ ყოველნი მავნებელნი ჩუენნი უდაბნოთა მათთა და უნაყოფოთა ხეთა, რომელთაგან მიგმადლა თქუენ ღმერთმან დღითი დღენი საზრდელი. ხოლო უკეთუ არა მერჩდეთ მე, ვევედრო კაცთმოყვარესა ღმერთსა, რათა მოავლინოს ანგელოსი იგი, რომელმან ბრპენითა შეგკრნეს თქუენ და მოგსრნეს თქუენ, ფუცებისა და ლოცუისა ჩუენისა შეურაცხების წილ გლახაკისა და მდაბლისა მონისა ღვთისა ტრიფონისა (წმ. ტრიფონი, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული ლოცვა), ლოცვითა ჩემითა მიმავალთა შეგჭამნენ თქუენ... რათა იდიდოს სახელი მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!” (კურთხევანი 1826: 251-252).

აღნიშნული ლოცვა იმდროინდელი ფლორის თვალსაზრისითაც საინტერესოა, თუ რა ცხოველი, ფრინველი და მწერი გვხვდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე,

როგორც ვხედავთ, ხალხი თითქოს ერთგვარ ხარკს უხდის მის შემწუხებელს, ხოლო ეკლესია ღვთის სახელით აშინებს და წყევლის ყოველივე ბოროტსა და ადამიანისთვის ავისმქმნელს. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული რიტუალი თითქმის ერთსა და იმავე დროს ხდება - ადრე გაზაფხულზე, ყველიერის კვირაში (ზოგან - დასაწყისში, ზოგან - ბოლოს).

დასავლეთ საქართველოში აღნიშნული რიტუალების ასეთი მრავალფეროვანი და მდიდარი ტრადიციების ჩამოყალიბებას, ვფიქრობთ, ხელი შეუწყო საანალიზო კუთხეთა ფაუნამ და ეკოლოგიურმა პირობებმა, რომელიც, თავის მხრივ, მოსახლეობის რწმენითა და საყოფაცხოვრებო პირობებითაც იყო განპირობებული.

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

ბრეგაძე 195: ბრეგაძე ნ., რაჭა-ლეჩხუმში მივლინების ანგარიში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, №10, თბილისი, 1959.

რუხაძე 1976: რუხაძე ჯ., ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში. თბილისი, 1976.

სურგულაძე 2003: სურგულაძე ი., მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი, 2003.

ღამბაშიძე 2011: ღამბაშიძე ნ., ხევში და თუმეთში მგლის უქმესთან დაკავშირებული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. წიგნში: ქართული ხალხური და საეკლესიო დღესასწაულები. თბილისი, 2011.

დიალექტური მასალა - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დაცული იმერული დიალექტური მასალა.

ეთნოგრაფიული მასალა - ჩვენ მიერ 2012–2019 წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ეთნოგრაფიულ ექსპედიციებზე ჩაწერილი მასალა (სამეგრელოში: წალენჯიხა - 2012, ჩხოროწყუ - 2014; სვანეთში: ლენტეხი - 2013, მესტია - 2015, 2017; ლეჩხუმში: ცაგერი - 2016; აჭარაში - შუახევი - 2018).

კურთხევანი 1826: წესი რომელი აღესრულების ყანისა, ვენახისა და ბოსტანსა ზედა: კურთხევანი (ნუსხურად), სანკტ-პეტერბურგი, საპატრიარქოს გამოცემა, 1826 წელი (ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ მეუფე ლეონიდე ჟვანიას არქივიდან).

ქარჩავა თ., სამეგრელოს ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და ეთნოგრაფიული ჩანახატები http://saunje.ge/index.php?cv=1&id=1597&option=com_content
დამოწმება: 12.10.2020.